სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

15289280584919

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N190156125

რეგისტრაციის თარიღი

13.02.2019 წ

ნოტარიუსი: ნინო ხაბულიანი
მისამართი: ქ.თბილისი, მ. კოსტავას ქ. 23
ტელეფონი: 99590411423, 995577465854

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

ორი ათას ცხრამეტი წლის **ცამეტ თებერვალს** მე ნოტარიუსის ნინო ხაბულიანს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: თბილისი, მ. კოსტავას ქ. №23, მომმართა სრულწლოვანმა და ქმედუნარიანმა პირმა **შპს "სუპერი"-ს** (საიდენტიფიკაციო ნომერი: 205050905; რეგისტრაციის თარიღი: 24/01/2005; მარეგისტრირებელი ორგანო: ვაკე-საბურთალოს სასამართლო; იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, კოსტავას ქ., №23) **დირექტორმა ივანე ხაზარაძემ** (დაბადების თარიღი: 28.10.1971წ. დაბადების ადგილი თბილისი; რეგისტრირებული მისამართზე: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის 75ბ, ბინა 31, პირადი ნომერი: 01008002602) თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან **შპს "სუპერი"-ს** შესახებ, მომზადებული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, რომელიც დაიბეჭდა ვებ-გვერდის მეშვეობით www.reestri.gov.ge. განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B18087615, 17/08/2018 10:31:37. მან მოხოვა მინდობილობის შედგენა მისვლა **შპს "სუპერი"-ს** შენობაში მისამართზე: თბილისი, მ. კოსტავას ქ. №23 და მინდობილობის სანოტარო წესით დადასტურება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ სამდვილად ზემოთ აღნიშნულმა პირმა მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე შევადგინე წინამდებარე მინდობილობა, რომელიც **შპს "სუპერი"-ს** შენობაში მისამართზე: თბილისი, მ. კოსტავას ქ. №23, წავუკითხე მე. მას განვუმატრე მინდობილობის შინაარსი და მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მან მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს თავისი, როგორც **შპს "სუპერი"-ს** დირექტორის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას, რომელიც დავადასტურე სანოტარო წესით.

მინდობილობა

ორი ათას ცხრამეტი წლის **ცამეტ თებერვალს** მე, **ივანე ხაზარაძემ**, როგორც **შპს "სუპერი"-ს** დირექტორმა წინამდებარე მინდობილობით **მაია კუნდუხაშვილს** (პირადი ნომერი: 01013012526) მივანიჭე შემდეგ უფლებამოსილება:

1. ჩემი, როგორც **შპს "სუპერი"-ს** დირექტორის სახელით ხელი მოაწეროს სახელწიფო და არასახელწიფო შესყიდვების ხელშეკრულებებს, მიიღოს და/ან წარადგინოს ამისათვის საჭირო ყველა სახის დოკუმენტი და შეუზღუდავად შეასრულოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება აღნიშნული დავალების შესრულებასთან და რისი უფლებაც მონიჭებული მაქვს მე, როგორც საზოგადოების დირექტორს.

2. მას უფლება არა აქვს ამ მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილებანი გადასცეს სხვა პირებს.

3. მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით და ძალაშია ორი ათას ოცი წლის ცამეტი თებერვლის ჩათვლით.

4. მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომელთაგან ორი გადაეცემა მარწმუნებელს, ერთი შეინახება სანოტარო ბიუროში და დანართის სახით თან დაერთვება ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან **შპს "სუპერი"-ს** შესახებ, მომზადებული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, რომელიც დაიბეჭდა ვებ-გვერდის მეშვეობით www.reestri.gov.ge. განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B18087615, 17/08/2018 10:31:37.

სანოტარო ბიუროს არქივში ინახება **შპს "სუპერი"-ს** წესდების ასლი. აღნიშნული დოკუმენტი თან ერთვის ჩემს, ნოტარიუსის ნინო ხაბულიანის მიერ ორი ათას თხუთმეტი წლის ოცდაათ ნოემბერს დადასტურებული მინდობილობის, რეესტრში რეგისტრაციის №151300472. იმ ეგზემპლიარს, რომელიც ინახება სანოტარო ბიუროში.

გადახდილია: სანოტარო მომსახურების საზღაური – 30,00 ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის №507 დადგენილების (29.12.2011წ.) 31-ე და 34-ე მუხლების; სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური – 2,00 ლარი (დღგ-ს ჩათვლით) თანახმად აღნიშნული დადგენილების (29.12.2011წ.) 39-ე მუხლის; სულ გადახდილია: 32,00 (ოცდათორმეტი) ლარი.

ივანე ხაზარაძე

ნოტარიუსი ნინო ხაბულიანი
NOTARIUS NINO KHABULIANI
NOTARY NINO KHABULIANI